ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის , ქალაქ ცაგერის მაჟორიტარი დეპუტატის ზაზა ყურაშვილის 2022 წლის

ანგარიში

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია თავის საქმიანობას წარმართავს საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებისა და საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული იმ კანონებისა და ნორმატიული აქტების შესაბამისად, რომლებიც არეგულირებენ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს. განსაზღვრავენ საქმიანობის შინაარსს, მის მომართულებებსა და პრიორიტეტებს.

2020 წლის განვლილ პერიოდში კომისიის უპირველესი ამოცანა იყო ადგილობრივი შემოსავლების საბიუჯეტო პარამეტრების შესრულება , სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, მუნიციპალური ქონების აღრიცხვა ინვეტარიზაცია , ქონების განკარგვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე აქტიური თანამონაწილეობა საკრებულოს წინაშე მდგარი საკითხების მოგვარებაში.

რეგლამენტის შესაბამისად 2022 წელს ჩატარებულია 12 კომისიის სხდომა, სადაც განხილული იყო 38 საკითხი. საკითხების ძირითადი ნაწილი ეხება მუნიციპალიტეტზე ქონების გადმოცემის, უზურფუქტით გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებაზე გაფორმების ნებართვის , საწყისი ფასებისა და ქირის ოდენობის განსაზღვრაზე ნებართვის გაცემაზე თანხმობის გაცემის საკითხებს.

კომისია ადმინისტრირებას უწევს საბიუჯეტო შემოსავლების ისეთ დარგებს, როგორიცაა ქონების იჯარა, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი, ქონების გადასახადი და სხვა.

კომისია კვლავ აქტიურად განაგრძობს მუშაობას მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა დებულების ყველა მუხლის შესაბამისად.

2022 დატვირთული იყო ლეჩხუმისათვის სხვადასხვა განხორციელებული პროექტებით. გამორჩეული იყო ეს წელი ქალაქისათვის, აღსანიშნავია შენობების ფასადური გალამაზება, შეეცვალა იერსახე ლადო ასათიანის სახელობის სკვერს, მოხდა სახურავის შეცვლა კულტურის ცენტრის შენობის , ასევე მთლიანად განახლდა კოსტავას და თამარ მეფის ქუჩებს შორის არსებული სკვერი, დაიგო და მოწესრიგდა ტროტუარები, მოხდა ასფალტირება აღმაშენებლის ქუჩაზე N 87 ა და ბ საცხოვრებელი კორპუსების ეზოებში, შერემონტდა ხიდი ნინოშვილისა და ასათიანის ქუჩების კვეთაზე, მიმდინარეობს აგრარული ბაზრის მშენებლობა, შემოიღობა ა(ა)იპ „ტურიზმის განვითარების ცენტრი“-ის სკვერი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და

ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ქალაქ ცაგერის მაჟორიტარი დეპუტატი: /ზ.ყურაშვილი/